ზეიმობენ ჩვენი ძმები

საბჭოთა აზერბაიჯანი ყველაზე ნათელი და სასიხარულო დღესასწაულის მიჯნაზეა. 50 წლის წინათ დაიწყო ახალი ერა მის ცხოვრებაში, დასაბამი მიეცა ქვეყნის საწარმოო ძალთა და ეროვნული კულტურის სოციალისტურ აყვავებას. ამ დიდ სიხარულს ჩვენი კარის მეზობლები ჩვენც გვიზიარებენ — აკი უთქვამს მათ სახელოვან შვილს უზეიარ ჰაჯიბეკოვს — როცა რომელსამე ჩვენგანს ბედნიერება უღიმის, იგი ძმებს უნდა გავუზიაროთო.

და მართლაც გაგვიზიარეს თავიანთი ბედნიერება და სიხარული საბჭოთა აზერბაიჯანის წარმომადგენლებმა. 19 სექტემბერს ჩვენს დედაქალაქს ეწვივნენ მეურნეობისა და კულტურის, მეცნიერებისა და ხელოვნების წარმომადგენლები.

აზერბაიჯანის დღეები საქართველოში ძალზე საინტერესო და მრავლისმეტყველი აღმოჩნდა. პირველსავე დღეს სტუმრებმა დაათვალიერეს რუსთავის მეტალურგიული ქარხანა, სადაც გაიმართა ხალხმრავალი მიტინგი. ასეთივე შეხვედრა სტუმრებს მოუწყეს გორის მშრომელებმა 20 სექტემბერს რაიონის დათვალიერების შემდეგ. საპატიო სტუმრები გაეცნენ თბილისის ღირსშესანიშნაობებს, შეხვდნენ ჩვენი რესპუბლიკის მოწინავე ადამიანებს, უნივერსიტეტში — პროფესორ-მასწავლებელთა დიდ ჯგუფს. აზერბაიჯანის დღეების დასკვნითი აკორდი იყო დიდი საზეიმო საღამო, რომელიც 21 დეკემბერს თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში გაიმართა.

მეგობრობის უკვდავი იდეები, რომელსაც ქადაგებდნენ რუსთაველი და ნიზამი, ილია ჭავჭავაძე და მირზა ფათალი ახუნდოვი, ცოცხლობს და მტკიცდება.


2 ოქტომბერს ამიერკავკასიის მოძმე რესპუბლიკები და მათთან ერთად მთელი ჩვენი დიადი ქვეყანა იზეიმებს აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და კომუნისტური პარტიის შექმნის 50 წლისთავს.

ლიტერატურული საქართველო

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა

№ 18 (250) გამოცემის მე-14 წელი

1970 წლის 25 სექტემბერი



ვოკალურ-საკრავიერი ანსამბლი „ორერა“

სანდრო მამასახლისის ფოტორეპორტაჟი „ორერას“ შესახებ იხილეთ მე-3 გვერდზე.



პოეზიის დღე — რუსთაველის დღე

საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის დადგენილებით ამა წლის ოქტომბრის პირველ დეკადაში მთელს საქართველოში ჩატარდება ქართული პოეზიის დიდი დღესასწაული: პოეზიის დღე — რუსთაველის დღე.

დღესასწაული დაიწყება რუსთაველის მშობლიურ კუთხეში — მესხეთ-ჯავახეთში.

შაბათს, 3 ოქტომბერს, ახალციხეში, ასპინძაში, ახალქალაქსა და ადიგენში გაიმართება ქართული პოეზიის საღამოები.

კვირას, 4 ოქტომბერს, სოფელ რუსთავში დანიშნულია დიდი მიტინგი და სახალხო ზეიმი. პოეზიის დღესასწაულში მონაწილეობისათვის მესხეთ-ჯავახეთის რაიონებში გაემგზავრება ქართველ მწერალთა დიდი ჯგუფი.

ორშაბათს, — 5 ოქტომბერს, თბილისში რუსთაველის თეატრის მცირე დარბაზში გაიმართება ქართული პოეზიის საღამო.

1 ოქტომბრიდან 10 ოქტომბრამდე რესპუბლიკის ყველა საშუალო სკოლასა და უმაღლეს სასწავლებელში ჩატარდება პოეზიისადმი მიძღვნილი დილა და საღამო.

ორშაბათს, 11 ოქტომბერს, საქართველოს მწერალთა კავშირში გაიმართება შემოქმედებითი დისკუსია თემაზე — „ქართული პოეზიის დღევანდელი ვითარება“.

პოეზიის დღისათვის გამოვა სპეციალური გაზეთი „პოეზიის დღე — რუსთაველის დღე“. „ლიტერატურული საქართველო“ გამოსცემს საგანგებო ნომერს, პოეზიის დღეებს ფართოდ გააშუქებს რესპუბლიკის პრესა, რადიო და ტელევიზია.

ანალოგიურ ღონისძიებებს ჩაატარებენ აფხაზეთის მწერალთა კავშირი და საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის, სამხრეთ ოსეთისა და ქუთაისის განყოფილებები.

ცხადდება ხელმოწერა გაზეთ „სამშობლოზე“! (იხილეთ მე-8 გვერდი)

კარგი ტრადიცია გრძელდება

ჩვენი ხელოვნებისა და მეცნიერების მიღწევათა ჩვენება, წარმატებათა დემონსტრაცია სხვა ხალხთა წინაშე უკვე ტრადიციად იქცა. შარშან გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში დიდი წარმატებით ჩაიარა ქართული კულტურის დღეებმა, წლეულს იტალიელ მეგობრებს გავაცანით ჩვენი ხელოვნება. 10 ოქტომბერს კი საფრანგეთში დაიწყება საბჭოთა კულტურის დღეები, რომელიც 10 ნოემბრამდე გასტანს. ფრანგებს საბჭოთა ხელოვნებას უჩვენებენ ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილები — ვოკალური ანსამბლი „გორდელა“, ვოკალურ-საკრავიერი ანსამბლი „ორერა“ და საქართველოს ხალხური ცეკვების სახელმწიფო ანსამბლის ერთი ჯგუფი.

საფრანგეთში გაეცნობიან ჩვენი ნორჩების ხელოვნებას — უკვე გაიგზავნა ბავშვთა ნამუშევრების დიდი გამოფენა, აგრეთვე ქართული გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები და ფოტოგამოფენის ექსპოზიცია — „საბჭოთა საქართველო“.

საბჭოთა კულტურის დღეებთან დაკავშირებით საფრანგეთში გაიგზავნა დიდძალი ინფორმაციული ლიტერატურა, ალბომები, ბუკლეტები, წიგნები, რომლებიც ასახავენ ჩვენს მიღწევებს და პროგრესს კულტურის, მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში.

ფრანგები მოისმენენ ქართული მუსიკის ჩანაწერებს, ნახავენ ჩვენს დოკუმენტურ და მხატვრულ ფილმებს. კულტურის დღეებში საფრანგეთს ეწვევა ქართველ ტურისტთა ჯგუფი.

საბჭოთა კულტურის დღეებმა გერმანიასა და იტალიაში დიდი აღმავლობით ჩაიარა. იმედია, ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილები ამჯერადაც ისახელებენ თავს და კიდევ უფრო განამტკიცებენ ფრანგი და ქართველი ხალხების მეგობრობას.

65

ერთგული ხალხის ერთგული ერი

საქართველო ერი ნახევარი საუკუნეა ახალ ისტორიულ ეპოქაში ცხოვრობს. ეს მან, სხვა მოძმე ხალხებთან ერთად, ხანგრძლივი და გმირული ბრძოლით დაიმკვიდრა. დიდი ისტორიული და კულტურული ტრადიციების მქონე ჩვენმა ხალხმა შექმნა ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური კულტურა, ძვირფასი წვლილი შეიტანა საერთო-საკაცობრიო კულტურის საგანძურში.

ასეთი წარმატება შეუძლებელი იქნებოდა, რომ ქართველ ხალხს მართებულად არ გადაეჭრა სოციალური და ეროვნული საკითხები, სწორი გზით არ წარემართა საკუთარი ეროვნული ენერგია. ისტორიამ ცოტა როდი იცის ხალხები, რომელთა ეროვნული ენერგია უგეგმოდ და უმიზნოდ გაფანტულა ისტორიულ ჭარტეხილებში და მალე აღგვილან პირისაგან მიწისა. ამის ერთ-ერთი მიზეზი, სხვათა შორის, ისიც იყო, რომ ისინი ვერ პოულობდნენ ერის წიაღში ნამდვილ მაორგანიზებელ ძალას, ისტორიული პროგრესით ერის წამყვან ძალას.

ქართველი ხალხის ეროვნული ენერგიის წარმმართველ ძალად მიმდინარე საუკუნის დასაწყისიდანვე გამოდის მარქსისტულ-ლენინური პარტია, კომუნისტური პარტია. სოციალისტური საქართველოს ნახევარსაუკუნოვანმა ისტორიამ თვალნათლივ დაადასტურა, რომ იგი არის ქართველი ხალხის მდიდარი კულტურული და ისტორიული ტრადიციების ერთადერთი დამცველი, სოციალური და ეროვნული საკითხების სწორი გადამჭრელი.

ეროვნული საკითხის მართებული გადაწყვეტა საქართველოში გულისხმობდა შემდეგ ძირითად ისტორიულ ღონისძიებათა განხორციელებას: ჯერ ერთი, **ქართული სუვერენული სახელმწიფოებრიობის აღდგენას**; მეორე, **საქართველოში მოსახლე ეროვნებათა სახელმწიფოებრივ მოწყობას**; მესამე, **მრავალეროვან ამიერკავკასიაში ეროვნული მშვიდობიანობის უზრუნველყოფას**; მეოთხე, **ქართველი და რუსი ხალხების სახელმწიფოებრივი ურთიერთობის მოგვარებას** და, ბოლოს, მეხუთე, წარსულის მძიმე მემკვიდრეობის — **ერთა შორის ფაქტიური უთანასწორობის ლიკვიდაციას**. ყველა ეს ღონისძიება საქართველოს მშრომელებმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობითა და რუსი ხალხის დახმარებით წარმატებით განახორციელეს.

გადავავლოთ თვალი აღნიშნულ ღონისძიებათა განხორციელებისათვის ქართველი ხალხის ბრძოლის ისტორიას.

●

I. გასული საუკუნის დამდეგს საქართველოს შეერთებას რუსეთთან ობიექტურად პროგრესული შედეგები მოჰყვა. ისტორიული ბედუკუღმართობით დაუძლურებულმა საქართველომ თავი დაალწია აზიურ გარემოცვას, ფიზიკურ განადგურებას და რუსული კულტურის გზით ეზიარა ევროპულ ცივილიზაციას. ეს ქართველ ხალხს ეროვნული სახელმწიფოებრიობის დაკარგვის ფასად დაუჯდა, მაგრამ მაშინ ეს იყო ერთადერთი საუკეთესო გამოსავალი მდგომარეობიდან.

საქართველოს მენშევიკურმა მთავრობამ სცადა ქართული ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენა, მაგრამ იმის გამო, რომ მისი სოციალური და ეროვნული პროგრამა ვერ აკმაყოფილებდა მშრომელი ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს, მენშევიკების ბურჟუაზიულმა პარლამენტარიზმმა და „ეროვნულმა“ სახელმწიფოებრიობამ სრული კრახი განიცადა. ევროპის იმპერიალისტურ სახელმწიფოთა ჯარებმა განუკითხავმა თარეშმა საბოლოოდ შეარყია მენშევიკური მთავრობის ავტორიტეტი ხალხის თვალში. მენშევიკებმა სწორი გზით ვერ წარმართეს ქართველი ხალხის ეროვნული ენერგია.

საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ დროზე აუღო ალღო ქვეყნად შექმნილ ისტორიულ სიტუაციას, მოუწოდა ხალხს მენშევიკური მთავრობის დამხობისა და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებისაკენ. სთხოვა საბჭოთა რუსეთს შეესრულებინა თავისი ინტერნაციონალური მოვალეობა — წითელი არმიით დახმარებოდა აჯანყებულებს.

სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისთანავე საქართველოს კომუნისტური პარტია შეუდგა ქართული ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენას. ამ საქმეში ქართველ კომუნისტებს ფასდაუდებელ სამსახურს უწევდა ვლადიმერ ლენინის მითითებები და დირექტივები. ლენინმა ქართველ კომუნისტებს, ისევე როგორც სხვა კავკასიელ კომუნისტებს, საკუთარი ეროვნული სახელმწიფოებრიობის მშენებლობის დიდებული გეგმა დაუსახა.

საქართველოს საბჭოების პირველმა ყრილობამ ძირითადად დაამთავრა საბჭოთა ეროვნული სახელმწიფოებრიობის შექმნა, რაც შეეხება ქართველი და რუსი ხალხების სახელმწიფოებრივ ურთიერთობას, იგი ჯერ კიდევ 1921 წლის მაისის ხელშეკრულებით მოგვარდა. ეს ხელშეკრულება განსაზღვრავდა ამ ორი ერის სახელმწიფოებრივ ურთიერთობას 1922 წლის დეკემბრამდე— სსრ კავშირის შექმნამდე.

●

II. თვითმპყრობელობის დამხობის შემდეგ ცარიზმის მიერ წინათ ჩაგრული ერები და ეროვნული უმცირესობანი ეროვნული თვითგამორკვევის ლოზუნგის საფუძველზე ფიქრობდნენ თავიანთ სახელმწიფოებრივ მოწყობას. მაგრამ, მენშევიკურმა მთავრობამ აფხაზებისა და ოსების მიერ ავტონომიური უფლებების მოთხოვნა რატომღაც ქართული ეროვნული სახელმწიფოებრიობის დაღუპვად მიიჩნია. ამან საქართველო ეროვნული შუღლის ასპარეზად აქცია. სოციალისტურმა რევოლუციამ ბოლო მოუღო ეროვნულ შუღლსა და უნდობლობას იმით, რომ 1921-1922 წლებში ავტონომიური უფლებები, საკუთარი სახელმწიფოებრიობა მიანიჭა საქართველოში მცხოვრებ აფხაზებსა და ოსებს, აგრეთვე მაჰმადიანურ საქართველოს — აჭარას.

მენშევიკებისა და სხვათა შიში, თითქოს საქართველოს სახელმწიფოს შიგნით ეროვნულ უმცირესობათა სახელმწიფოებრივი მოწყობა ძირს გამოუთხრიდა ქართულ ეროვნულ სახელმწიფოებრიობას, უსაფუძვლო გამოდგა. ნახევარსაუკუნოვანმა ისტორიამ სრულიად საწინააღმდეგო გვიჩვენა. ავთარებენ რა თავიანთ სახელმწიფოებრიობას საბჭოთა ავტონომიის ფორმით, აფხაზები და ოსები ეროვნული თვითგამორკვევის საფუძველზე ქმნიან თავიანთ სახელმწიფოებრივ ინსტიტუტებს და განამტკიცებენ სრულიად საქართველოს სახელმწიფოებრივ წყობილებას. ყველა ერი და ეროვნება აქტიურად მონაწილეობს საქართველოს სახელმწიფოს მართვასა და გამგებლობაში.

●

III. მენშევიკების, მუსავატელებისა და დაშნაკების ბატონობის პერიოდში დაირღვა ამიერკავკასიის ხალხთა ისტორიულად ჩამოყალიბებული მეგობრობა. მმართველმა კლასებმა და პარტიებმა ტერიტორიებისა და საზღვრების საკითხი უსაზღვრო დავისა და კინკლაობის საგნად აქციეს, საქმე ძმათა მკვლელ ომამდეც კი მიიყვანეს. ამ შუღლისა და მტრობის აღმოფხვრას ხელს ვერ შეუწყობდა ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების იზოლირებული არსებობა თავიანთი სასაზღვრო ხაზებითა და კორდონებით, საბაჟოებითა და საყარაულო პუნქტებით... ამიტომ, ამიერკავკასიის ხალხთა შორის, ისტორიულად არსებული მეგობრობის აღდგენის საუკეთესო ფორმად, საშუალებად, კომუნისტებმა მიიჩნიეს ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაციული გაერთიანება. ასეთი გაერთიანება ნაკარნახევი იყო აგრეთვე სახალხო მეურნეობის სწრაფად აღდგენისათვის რესპუბლიკათა მთელი რესურსების გაერთიანების ინტერესებით და, ბოლოს, საგარეო უშიშროების უზრუნველყოფის ინტერესებითაც.

1922 წლის დეკემბერში ამიერკავკასიის საბჭოების პირველ ყრილობაზე შეიქმნა ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკა. ამიერკავკასიის კომუნისტებმა ერთი სახელმწიფოს ფარგლებში შედარებით იოლად, ინტერნაციონალისტური თვალსაზრისით გადაწყვიტეს ეკონომიური, კულტურული და პოლიტიკური (ტერიტორიული და სასაზღვრო) ურთიერთობის საკითხები.

ამიერკავკასიის ფედერაცია დაიშალა მას შემდეგ (1937 წელს), რაც მან მთლიანად და წარმატებით შეასრულა თავისი ისტორიული მისია. მან განამტკიცა და გააფართოვა ამიერკავკასიის ხალხთა ლენინური თანამეგობრობა, ხელი შეუწყო ამიერკავკასიის რესპუბლიკათა ეკონომიური და კულტურული განვითარების მძლავრ აღმავლობას.

●

IV. საერთაშორისო ურთიერთობის გამწვავებამ და სამეურნეო-ეკონომიურ ღონისძიებათა ფართო მასშტაბით გაერთიანების საჭიროებამ დღის წესრიგში დააყენა ყველა საბჭოთა რესპუბლიკის ერთ საკავშირო სახელმწიფოდ გაერთიანების საკითხი. ხალხთა ამ დიდ გამაერთიანებელ მოძრაობას დაძაბულად ადევნებდა თვალს ვლადიმერ ლენინი. იგი სისტემატურად აფრთხილებდა და მოაგონებდა ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებს, რომ გაერთიანება ჩაეტარებინათ სრული ნებაყოფლობის საფუძველზე, არ დაეშვათ აჩქარება და ეროვნულ რესპუბლიკათა სუვერენიტეტის შეზღუდვა. ასე ფრთხილად და ფაქიზად ეკიდებოდა პარტიის ბელადი თავისუფალ და თანასწორუფლებიან ერთა ნებაყოფლობით გაერთიანებას ერთ საკავშირო სახელმწიფოდ. ლენინური მითითებების საფუძველზე შემუშავდა „საკავშირო ხელშეკრულება“ და „დეკლარაცია“, რომელმაც მთელ ქვეყანას აუწყა ლენინური ეროვნული პოლიტიკის ბრწყინვალე გამარჯვება.

ლენინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელების გზაზე პარტიამ არაერთი დაბრკოლება და წინააღმდეგობა დასძლია. ამ დაბრკოლებათა შორის უნდა აღინიშნოს დამარცხებული კლასებისა და პოლიტიკურ პარტიათა ნარჩენების წინააღმდეგობა, ნაციონალ-უკლონისტური გადახრა პარტიის შიგნით და სხვა. ნაციონალ-უკლონისტები მალე დარწმუნდნენ თავიანთ შეცდომებში და ენერგიულად ჩაებნენ ახალ საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ მშენებლობაში. ერთ-ერთი მათგანი ფილიპე მახარაძე, ამასთან დაკავშირებით ამბობდა: „უნდა ითქვას მთელი გულახდილობით, რომ ზოგიერთ ჩვენგანს პირველ პერიოდში არ ჰქონდა სწორი წარმოდგენა იმაზე, თუ რა მოჰყვებოდა ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნას... გვეგონა, რომ მას მოჰყვებოდა აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკების დამოუკიდებლობის სრული ლიკვიდაცია. მაგრამ ეს იყო დიდი შეცდომა... ამ ფედერაციამ თავისთავი გაამართლა მთელი ასი პროცენტით“.

ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები არ იყვნენ დაზღვეულნი ზოგიერთი სხვა შეცდომისაგანაც, რაც ზედმეტი ფაციფუცითა და ცენტრალიზაციისაკენ გადახრებული მისწრაფებით მოსდიოდათ. მაგრამ ლენინი და პარტიის სხვა გამოჩენილი ხელმძღვანელები დროზე ეხმარებოდნენ ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებს შეცდომების გამოსწორებაში.

●

V. დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ მოსპო ეროვნული ჩაგვრა და ერთა შორის პოლიტიკურ-იურიდიული უთანასწორობა. მაგრამ კიდევ დიდხანს დარჩა ის ფაქტიური ეკონომიური და კულტურული უთანასწორობა, რომელიც ადრე დამყარდა მჩაგვრელ და ჩაგრულ ერებს შორის. ლენინური ეროვნული პოლიტიკის სიბრძნე და შორსმჭვრეტელობა ის არის, რომ იგი არ დაკმაყოფილდა პოლიტიკური უთანასწორობის ლიკვიდაციით და კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი პირველი რიგის ამოცანად დასახა ერთა შორის ფაქტიური უთანასწორობის ლიკვიდაცია. კომუნისტურმა პარტიამ მიაღწია მოკავშირე რესპუბლიკათა ეროვნული კულტურისა და ეკონომიკის უმაგალითო აყვავებას. ამის ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია საბჭოთა საქართველო, რომელიც მალე იზეიმებს თავისი არსებობის 50 წლისთავს.

არსებული ფაქტიური უთანასწორობის ლიკვიდაციის მიზნით საბჭოთა მთავრობამ წინათ ჩაგრული ერებისათვის დაგეგმა ეკონომიკისა და კულტურის განვითარების შედარებით მაღალი ტემპები, ასეთი პოლიტიკის განუხრელად გატარებამ სოციალიზმის მშენებლობის დამთავრების მომენტისათვის უზრუნველყო ყველა ერის ეკონომიური და კულტურული განვითარების დაახლოებით ერთგვარი დონე.

საქართველო, როგორც ცნობილია, რუსეთთან შედარებით უფრო გლეხური, აგრარული ქვეყანა იყო, მაგრამ მრეწველობის განვითარების ჩქარმა ტემპებმა მკვეთრად შეცვალა სახალხო მეურნეობის ძირითად დარგთა თანაფარდობა.

საქართველოს სახალხო მეურნეობის ერთობლივ პროდუქციაში მრეწველობის პროდუქციის ხვედრითი წონა განუხრელად იზრდებოდა. თუ 1913 წელს იგი შეადგენდა 10 პროცენტს, 1925-26 წელს — 26, 2, 1928-29 წელს — 36,2, 1931 წელს—46,0, 1933 წელს მან 59,8 პროცენტი შეადგინა.

საქართველოს მრეწველობა რევოლუციამდე უმეტესად წვრილი საწარმოებით იყო წარმოდგენილი. 1913 წელს მრეწველობის მთელ პროდუქციაში წვრილ საწარმოთა პროდუქციის ხვედრითი წონა 67,4 პროცენტს შეადგენდა. 1937 წლისათვის კი 13,1 პროცენტამდე შემცირდა. ამასთან აღსანიშნავია მსხვილი მრეწველობის ზრდის უფრო მაღალი ტემპები საქართველოში, ვიდრე მთლიანად სსრ კავშირში.

ქვეყნის სოციალისტურმა ინდუსტრიალიზაციამ თან გაიყოლია სოფლის ჩამორჩენილი წვრილგლეხური, ინდივიდუალური მეურნეობა. იგი უმოკლეს ვადებში გარდაქმნა მექანიზებულ, მსხვილ სოციალისტურ მეურნეობად. გლეხობამ თავი დააღწია სიღატაკეს და ჩამორჩენილობას და დღეს კულტურულად და შეძლებულად ცხოვრობს, შრომობს და იბრძვის კიდევ უფრო უკეთესი მომავლისათვის.

საქართველოს კომუნისტური პარტია სათავეში ჩაუდგა ქართული ეროვნული კულტურის განვითარებას. ლენინური პოლიტიკის განუხრელმა გატარებამ უზრუნველყო ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური კულტურის აყვავება საქართველოში.

საქართველოში დიდი ხანია მოისპო წერა-კითხვის უცოდინარობა. დაწყებითი, საშუალო და უმაღლესი სასწავლებლებით მოიფინა მისი ტერიტორია. დიდ აღმავლობას განიცდის ქართული მეცნიერება, მთელ მსოფლიოშია ცნობილი ქართველ მეცნიერთა მიღწევები მათემატიკაში, ფსიქოლოგიაში, ფიზიოლოგიაში, ფილოსოფიაში, ისტორიაში, აღმოსავლეთმცოდნეობაში. ენათმეცნიერებაში... ეროვნულმა უნივერსიტეტმა და მეცნიერებათა აკადემიამ საქვეყნოდ გაითქვეს სახელი.

ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების მაღალნიჭიერ და შემოქმედ ინტელიგენციას სისტემატურად ემატება ახალ-ახალი სახელები. უმაგალითოდ განვითარდა და გაფართოვდა ქართული ენის გამოყენების სფერო, არაერთგზის თქმულა ქართული ენის ქება და დიდება. ყოველივე ეს საქვეყნოდ ცნობილია, ამიტომ ფაქტობრივი მასალით მათი შემაგრება საჭიროდ არ მიმაჩნია.


ასეთია მოკლედ, ძალზე ზოგადად ის საკითხები, რომლებიც დაკავშირებული იყო ეროვნული საკითხის გადაწყვეტასთან საქართველოში.



ეროვნული საკითხის გადაწყვეტა საქართველოში



პროფესორი
იური ქაჭარავა



● ნანი ბრეგვაძე




● „ორერა“ დლისით, მზისით...



● ვახტანგ კიკაბიძე

„ორერა“!



უცხოეთის პრესა „ორერას“ შესახებ

● „ახალგაზრდული ანსამბლი „ორერა“ შესანიშნავი კოლექტივია. მათი სიმღერა დახვეწილია, ჰარმონიულად შერწყმული და შესრულების მაღალ კულტურაზე მეტყველებს“.

ჩეხოსლოვაკია.

● „...დიდი წარმატებით სარგებლობდა ქართული ვოკალური ანსამბლი, რომელიც კარგი გარეგნობისა და საუცხოო ხმის მქონე ახალგაზრდებისაგან შედგება. მათ შამოგვიტანეს თავიანთი ქვეყნის მშვენიერი სიმღერები“.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა.

● „...ყურადღებას იქცევს ხმის სიწმინდე და ტემბრი, სცენურობა და მსმენელებთან მჭიდრო კავშირი. პირდაპირ დაუჯერებელია, რომ ეს კოლექტივი პირველად არის ჩვენს ქვეყანაში“.

ირანი.

● „ძალზე გონივრული იყო ქართული ანსამბლის შენახვა ფინალისათვის. აღფრთოვანებულმა მსმენელებმა ბევრჯერ გამოიწვიეს მსახიობები „ბისზე“, მათ კი, თავიანთი მხრივ, დიდი სიამოვნებით დააკმაყოფილეს მსმენელთა თხოვნა“.

თურქეთი.

● „როდესაც სცენაზე გამოჩნდება ეს ანსამბლი, დარბაზში დიდხანს არ ცხრება ტაში“.

პოლონეთი.

● „მალაში ტრიუმფული სვლის შემდეგ ცნობილი საბჭოთა მსახიობები აჯადოებენ ბამაკოს მაყურებლებს“.

მალი.

● „ანსამბლმა „ორერამ“ დაატყვევა მსმენელები კარგი გემოვნებით, ვოკალური კულტურითა და რაღაც განსაკუთრებული ინტელიგენტურობით“.

უნგრეთი.

● „ორერა“ თავისი საშემსრულებლო ხელოვნებით ძალზე თავისებური კოლექტივია. უპირველესად უნდა აღინიშნოს მათი უბადლო პროფესიონალიზმი“.

ინგლისი.

● „ორერამ“ მსმენელებს არა მარტო საქართველოს მშვენიერი სიმღერები გააცნო, არამედ თავისი სამშობლოს უძველესი მუსიკალური კულტურაც“.


ავსტრალია.

● „ორერა“ — ერთ-ერთი საუკეთესოა მათ შორის, ვინც ოდესმე უხილავს მონრეალს“.

კანადა.



● ძველი თბილისის ჰანგები...



● ორკესტრის ხელმძღვანელი რობერტ ბარძიმაშვილი



● თეიმურაზ დავითაია და გენო ნადირაშვილი

სანდრო მამასახლისის ფოტორეპორტაჟი

„ორერა“ „ორერა“ „ორერა“ „ორერა“

გერტრუდა პეჩი



თანამედროვე უცხოელ ქართველოლოგთა შორის თვალსაჩინო ადგილი უჭირავს გერმანელ პროფესორ ქალს გერტრუდა პეჩს, რომელიც ამჟამად სტუმრად იმყოფება ჩვენს რესპუბლიკაში.

ქალბატონი გერტრუდა დაიბადა 1910 წლის 22 იანვარს გერმანიის შუაგულში, პატარა ქალაქ აინბეკში. აქვე დაამთავრა საშუალო სკოლა 1929 წელს. მიუნსტერისა და ტიუბინგენის უნივერსიტეტებში პროფესორ ბაუმშტარკის ხელმძღვანელობით სწავლობდა ორიენტალისტიკას — აღმოსავლურ ენებსა და ეთნოგრაფიას, ლიტერატურასა და ისტორიას, ხოლო შემდეგ პროფესორ ფერდინანდ ჰესტერმანის ხელმძღვანელობით იღრმავებდა ცოდნას ზოგადი ენათმეცნიერების სფეროში. 1937 წელს დაიცვა დისერტაცია თემაზე: „პირიანი ზმნა მარკოზის სახარების ძველ ქართულ თარგმანში“. 1951 წელს კი სადოქტორო დისერტაცია თემაზე — „ინდონეზიური ენა“.

ამჟამად ქალბატონი გერტრუდა საქართველოშია. ეს მისი მეოთხე სტუმრობაა. პირველად ჩვენს რესპუბლიკას იგი 1958 წელს ეწვია, მეორედ — 1966 წელს რუსთაველის საიუბილეო დღეებში, მესამედ ჩამოვიდა ჩვენი უნივერსიტეტის დაარსების 50 წლისთავთან დაკავშირებით როგორც ძვირფასი სტუმარი და ახლოსული მეგობარი.

გერტრუდა პეჩი ნაყოფიერად მუშაობს ქართველოლოგიის სფეროში. მას ერთნაირად აინტერესებს როგორც ჩვენი ენა, ისე კულტურა, ისტორია, ეთნოგრაფია, ლიტერატურა. ენათმეცნიერების სფეროში მან შეისწავლა ურთულესი პრობლემები. საკუთარი დაკვირვებანი და მოსაზრებანი განაზოგადა შრომაში „ენის თეორიის ძირითადი საკითხები“ (1955). შეისწავლა ქართული ენის წინადადების სტრუქტურა და გამოაქვეყნა გამოკვლევა: „ქართულის აწმყო დრო — ინდოევროპული გავლენა თუ საკუთარი კანონებით განვითარება?“ (1967), „ქართულ სიტყვათა სტრუქტურის ანალიზისათვის“ (1968). მრავალ შრომათა შორის ყურადსაღებია მისი გამოკვლევა „ჰუმბოლდტი და ენათმეცნიერება“ (1968). ძველი ქართული ენის შესწავლისას მას აინტერესებს ქართულ სიტყვათა ეტიმოლოგიისა და სტრუქტურის გარკვევა.

მკვლევარი ქალი ამჟამად ჩვენს თანამემამულე ჯუმბერ გაგნიძესთან ერთად მუშაობს „ქართულ-გერმანული სამეცნიერო ენის ლექსიკონზე“. მასში ნავარაუდევია 70.000 სიტყვის შეტანა. იგი განსხვავებული იქნება იმ ლექსიკონისაგან, რომელსაც შვეიცარიაში, ქალაქ ციურიხში უშვებს გამომცემლობა „ამირანი“. თავის ლექსიკონში გერტრუდა პეჩს სურს ფრაზეოლოგიური ქცევების აღწერით დასძლიოს ის სინტაქსური სიძნელე, რომელიც არსებობს ორივე, ქართულსა და გერმანულ ენას შორის.

საქართველოს ისტორიის კვლევას მეცნიერმა მიუძღვნა შრომები: „იდეოლოგიური განვითარება საქართველოს ადრინდელ ფეოდალიზმში“ (1966), „ოქტომბრის რევოლუცია და ეროვნული საკითხი საქართველოში“ (1967) და სხვა.

ჩვენთან მეორედ ყოფნის შემდეგ სამშობლოში დაბრუნებულმა გერტრუდა პეჩმა გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების იენის განყოფილებაში წაიკითხა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისადმი მიძღვნილი საჯარო მოხსენება, დასტამბა რუსთველოლოგიის პრობლემებისადმი მიძღვნილი რამდენიმე შრომა: „ჰუმანიზმის გმირული სიმღერა“, „ვეფხისტყაოსნის შემქმნელი“, „ძველი სიმღერა — ახალი ცხოვრება“, „შოთა რუსთაველი — ქართველი ერის პოეტი“, „შოთა რუსთაველი და მისი დრო“, „ღმერთის ხატი და ადამიანის სახე რუსთაველთან“. ყველა ამ შრომაში მკვლევარი ცდილობს სხვადასხვა მხრივ გააშუქოს რუსთაველის პოემასთან დაკავშირებული რთული სამეცნიერო პრობლემატიკა. რუსთაველი, პეჩის მტკიცებით, თავისუფალია ტრადიციული ქრისტიანული დოგმებისაგან, კერძოდ, ადამიანზე ბოროტის მეუფების სავალალო იდეისაგან და იმ აზრისაა, რომ ნათელი და იმედიანი სულისკვეთების პიროვნებამ უნდა იბრძოლოს სიკეთის ზეიმისათვის, კეთილის მიერ ბოროტის ძლევისათვის.

პროფესორ გერტრუდა პეჩის ინტერესების სფერო ქართულ ლიტერატურაში არ იფარგლება მარტო რუსთველოლოგიის საკითხებით. ქართული კულტურის დეკადის დღეებში მან დასტამბა წერილი — „გერმანული რომანტიკული დრამატურგია საქართველოში“. ავტორი მიმოიხილავს შილერის, შლეგელის და კარლ გუცკოვისადმი, გერჰარდ ჰაუპტმანისა და ერნსტ ტოლერისადმი ქართველი საზოგადოების დამოკიდებულებას, კერძოდ, მათი ნაწარმოებების თარგმნისა და პუბლიკაციის, უფრო მეტად კი გასცენურების ფაქტებს.

დაკვირვებებმა ქართული ლექსიკის მრავალფეროვნებასა და ენის სტრუქტურაზე ქალბატონი გერტრუდა ლოგიკურად მიიყვანა ქართულ მხატვრულ ნაწარმოებთა გერმანულად თარგმნის იდეამდე. მან თარგმნა ჩვენი გამოჩენილი მწერლის კონსტანტინე გამსახურდიას რომანი „დიდოსტატის მარჯვენა“, რომელიც გამოვიდა 1969 წელს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ქართული კულტურის დეკადის დღეებში.

მრავალფეროვან მეცნიერულ მუშაობასთან ერთად გერტრუდა პეჩი დიდ ადმინისტრაციულ და საზოგადოებრივ საქმიანობას ეწევა. იენის უნივერსიტეტში იგი ხელმძღვანელობს ქართველოლოგიაში მომუშავე ასპირანტებს, კონსულტაციას უწევს ქართველ გერმანისტებს. ამჟამად ჩვენთან მისი ხანგრძლივი ყოფნის მიზანია კოლეგებთან უშუალო შემოქმედებითი კონტაქტით კიდევ უფრო ღრმად დაამუშაოს ქართველოლოგიის ურთულესი პრობლემები.

პროფესორი გერტრუდა პეჩი თანამედროვე გერმანული ქართველოლოგიის მნიშვნელოვანი მესვეურია, მისი გამოკვლევები უდავოდ იჭერენ საპატიო ადგილს მსოფლიო აღმოსავლეთმცოდნეობის საგანძურში. მკვლევარი ქალის მეცნიერული ძალების სიჭაბუკე სრული საწინდარია იმისა, რომ იგი მკითხველებს კვლავაც გაახარებს გამოკვლევებით როგორც ქართველოლოგიის, ისე საკუთრივ რუსთველოლოგიის საკითხებში.

შოთა რევიშვილი,
პროფესორი

შევეცდები ქართულად გესაუბროთ

ქალბატონი გერტრუდა პეჩი:

...

შოთა რევიშვილმა რედაქციის მიერ დაკვეთილი მასალა მოგვიტანა და გვითხრა, ქალბატონი გერტრუდა ამჟამადაც თბილისში იმყოფებაო, გადავწყვიტეთ სტუმრად ვწვეოდით მას.

ბატონ შოთასთან ერთად პავლოვის ქუჩაზე ერთ-ერთი სახლის მეოთხე სართულზე ავედით. კარი ქალბატონმა გერტრუდამ გაგვიღო.

— გამარჯობათ, — მივესალმეთ ქართულად. — შეიძლება შემოვიდეთ?

— გამარჯობათ, გამარჯობათ, — ქართულადვე გვიპასუხა მან. — მობრძანდით.

შოთამ და ქალბატონმა გერტრუდამ, როგორც ძველმა ნაცნობებმა მეგობრულად მოიკითხეს ერთმანეთი.

მასპინძელმა ოთახში მიგვიწვია და გერმანულად დაგვიწყო საუბარი.

— თუ შეიძლება, ქართულად ვილაპარაკოთ.—ვთხოვე მე.

— რატომ?

— უბრალოდ, გერმანული არ ვიცი...

— კარგი, შევეცდები ქართულად გესაუბროთ.

ქალბატონმა გერტრუდამ გვიამბო, რომ მაისიდან იმყოფება საქართველოში, ორ თვეს ცხოვრობდა მცხეთაში, ივლის-აგვისტოში კი შოვში ისვენებდა. შოვი ძალიან მომეწონა, იქ ჩიტივით ვგრძნობდი თავსო. ჩემს მეზობლად თბილისის ელი ცოლ-ქმარი ისვენებდა ბავშვებით, მათთან ძალზე გავერთე, მოწყენა არ მიგრძნიაო. ძველი ქართული ენის ცოდნა კი ახლის შესწავლაში დამეხმარაო.

— რამ გადაგაწყვეტინათ ქართველოლოგი გამხდარიყავით?

— ჯერ კიდევ სტუდენტობისას დამებადა ეს სურვილი. აღმოსავლეთის ქრისტიანული ლიტერატურის შესწავლისას დამჭირდა ქართული ენის ცოდნაც. მე სემიტურ ენებს ვსწავლობდი, შემუშავებული მქონდა მათი ათვისების საკუთარი მეთოდი და სწორედ ამ მეთოდით მივუდექი ქართულ ენასაც.

— ახლახან გერმანელმა მკითხველმა მიიღო თქვენს მიერ თარგმნილი კონსტანტინე გამსახურდიას რომანი „დიდოსტატის მარჯვენა“. რამ გამოიწვია თქვენი ეს არჩევანი?

— ეს არის ნაწარმოები, რომელიც დიდი გატაცებით ვთარგმნე და რომელიც უფრო და უფრო მიზიდავს, რაც მეტს ვკითხულობ და ვმუშაობ მასზე.

— როგორ მიიღო თარგმანი გერმანელმა მკითხველმა?

პასუხად ქალბატონმა გერტრუდამ ჰამბურგიდან ახლახან მიღებული წერილი გვიჩვენა. მას ხელს აწერს ახალგაზრდა ქართველოლოგი ბოედერი. „შემიძლია კარგად წარმოვიდგინო, — ვკითხულობთ ამ წერილში, — რა გოლიათური შრომა დაგჭირდათ, რომ ეს ნაწარმოები ასე კარგად, ასე ფაქიზად გეთარგმნათ. ენობრივად იგი იკითხება, როგორც გერმანულად დაწერილი რომანი. მოხარული ვარ, რომ ქართული ლიტერატურის ასეთი ბრწყინვალე ნიმუში გერმანელი ხალხისათვის ხელმისაწვდომი გახადეთ“.

— ხომ არ გისაუბრიათ კონსტანტინე გამსახურდიასთან თარგმანის თაობაზე?

— რასაკვირველია, ვესაუბრე, მან ბრწყინვალედ იცის გერმანული ენა. როცა თარგმანი წაიკითხა, მითხრა: — არ მეგონა, ქართული თუ ასე კარგად იცოდითო.

— რის თარგმნას აპირებთ კიდევ?

— ამჯერად „მოქცევაი ქართლისაზე“ ვმუშაობ. დიდ სირთულეს მიქმნის ამ ნაწარმოების ენა. ძალზე ძნელი და ნაკლებად შესწავლილია იგი. მე, როგორც ენის სპეციალისტს, ამ ნაწარმოებში ძირითადად ენის პრობლემა მაინტერესებს.

— კიდევ?

— მე მიტაცებს ვაჟა, განსაკუთრებით მისი „გველის მჭამელი“. დარწმუნებული ვარ, ვაჟას ღრმა და ბრძნული აზრები გერმანელი მკითხველის დიდ ინტერესს გამოიწვევს.

— რამდენ ხანს აპირებთ დარჩენას ჩვენთან?

— აპრილამდე. უნდა წავიკითხო ლექციების კურსი ენათმეცნიერების ისტორიაში.

გამშვიდობებისას ძვირფას სტუმარს, რომელიც დღეს მასპინძლობას გვიწევს და ვპირდებით, რომ აუცილებლად წავიყვანთ ფილმ „დიდოსტატის მარჯვენის“ მეორე სერიის პრემიერაზე...


ლია მიქაძე

P. S. „დიდოსტატის მარჯვენა“ ქალბატონმა გერტრუდამ პრემიერაზე გაცილებით ადრე ნახა. რეჟისორებმა ვახტანგ ტაბლიაშვილმა და დევი აბაშიძემ იგი სტუდიაში მიიწვიეს და ფილმის ორივე სერია უჩვენეს.

— ერთბაშად არ შემიძლია ყველაფერი ვთქვა ამ სურათზე, —განაცხადა პროფესორმა ქალმა. — შთაბეჭდილება დიდია. მინდა ცოტა ვიფიქრო კიდევ და მაშინ პირუთვნელად მოგახსენებთ ჩემ აზრს. ერთი კი არის: გმირები ძირითადად ემთხვევიან ჩემს წარმოდგენაში ჩაბეჭდილ სახეებს...

ამ დღეებში ქალბატონი გერტრუდა ეწვია სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს ეფრემ მეორეს და საინტერესო საუბარი ჰქონდა მასთან. მასპინძელმა სასურველ სტუმარს „ახალი ალთქმა“ და ქართული ეკლესიის წლევანდელი კალენდარი უძღვნა.

ვულთბილი შეხვედრა მოუწყეს გერტრუდა პეჩს თბილისის უნივერსიტეტის რუსთველოლოგიის კაბინეტში. პროფესორები ლევან მენაბდე, შოთა რევიშვილი, ტრიფონ რუხაძე, გერმანული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტი ნელი ამაშუკელი ესაუბრნენ სტუმარს კაბინეტის მუშაობაზე. როგორც მკითხველებს უკვე ვაცნობეთ („სამშობლო“ № 12), უნივერსიტეტში დაიწყო შეკრება, თარგმნა და შესწავლა იმ მასალისა, რომელიც რუსთაველისა და მისი პოემის შესახებ მსოფლიოს ხალხთა ენებზე დაწერილა. კრებული გამოვა 5 ტომად. ერთ-ერთ ტომში შევა გერტრუდა პეჩის სამი წერილი.



სურათზე: მარცხნივ — „დიდოსტატის მარჯვენის“ გერმანული გამოცემის სუპერგარეკანი.





თბილისში, მთაწმინდის პლატოზე შენდება ახალი სატელევიზიო კოშკი, რომლის სიმაღლე 277,5 მეტრი იქნება. იგი იმუშავებს ოთხარხიანი სისტემით.

სურათებზე: ზევით — სატელევიზიო კოშკის მშენებლობა, ქვევით — მემონტაჟე ვიქტორ ბრეგაძე.

ალექსანდრე სარიშვილის ფოტო

ფორე მოსულიშვილის გმირობისა და თავგანწირვის ამბავი დედასამშობლომ წლეულს შეიტყო. 1944 წელს იტალიაში ვაჟკაცურად დაცემული ქართველი პარტიზანის შესახებ ჩვენს მკითხველებს 27 თებერვლისა და 9 მაისის ნომრებში ვესაუბრეთ.

ამ რამდენიმე ხნის წინათ ფორე მოსულიშვილზე კვლავ ალაპარაკდა ქვეყანა. საკავშირო და რესპუბლიკურ გაზეთებში გამოქვეყნდა ოფიციალური ცნობა იმის შესახებ, რომ საბჭოთა მოქალაქეს ფორე მოსულიშვილს იტალიის პრეზიდენტის ბრძანებულებით სიკვდილის შემდეგ ქვეყნის უმაღლესი ჯილდო — წინააღმდეგობის ოქროს მედალი მიენიჭა.

ამ დღეებში რედაქციას ეწვია ცნობილი ქართველი პარტიზანი, ამჟამად მშენებელი ინჟინერი ალექსანდრე შარცხლაძე. იგი 1944-45 წლებში აქტიურად იბრძოდა ჩრდილოეთ იტალიაში გერმანელ ფაშისტთა წინააღმდეგ და იყო იმ ასეულის მეთაური, რომელშიც ფორეს რაზმიც შედიოდა. ალექსანდრე შარცხლაძე ერთ-ერთი იმ ქართველთაგანია, რომელიც ყველაზე ახლო იყო გმირთან და რომელიც მას ყველაზე ბოლოს, დაბა ბილჯირანტესთან მომხდარი ტრაგედიის წინადღეს გამოემშვიდობა.

„უშიშარი, ვითარცა უხორცო“

ფორე მოსულიშვილი ტყვეობაში გავიცანი, 1944 წლის ადრეულ გაზაფხულზე. მართლაც რომ მოსული, ჯანიანი ჭაბუკი იყო. ჯოჯოხეთურ პირობებსაც ვერ შეერყია მისი რკინისებური სხეული. დღენიადაგ გაქცევაზე ფიქრობდა. არც სხვები იყვნენ გულხელდაკრეფილნი. სამუდამოდ დამახსომდა ვალოდია ჩეჟია, კოლია ვაჩეიშვილი, სანდრო ნათებაშვილი, სერგო ცქიფურიშვილი და მრავალნი სხვა. ჩაიგდეს თუ არა იარაღი ხელში, ონორო ლუიჯის პარტიზანებს შეუერთდნენ და გერმანელებს ერთიანად მიუზღეს წამებისა და ბოროტებისათვის.

რა შეიძლება ვთქვა ფორე მოსულიშვილზე?

ალბათ, ასეთ ვაჟკაცზე უთქვამს მემატიანეს: უხორცოსავით უშიშარი იყოო.

●

ზამთარი იდგა. სოფელ ჯენეზიასთან გაფთრებულ ბრძოლაში ფაშისტებმა ორი დაჭრილი ქართველი პარტიზანი, ბიძაშვილები — ხაშურელი გოგიშვილები ჩაიგდეს ტყვედ, გრძნობადაკარგულნი ქალაქ ომენიას ჰოსპიტალში მოათავსეს, რომ გამოჯანმრთელებისთანავე დაეკითხათ და ეწამებინათ. ბიჭებს უეჭველი სიკვდილი ელოდათ. ეს ამბავი გადმოგვცა იტალიელმა ექიმმა, რომელმაც მთაში მოგვძებნა. მანვე გვაცნობა, რომ ჰოსპიტალს, რომელსაც მავთულხლართებიანი ქვითკირის გალავანი ერტყა, 12 გერმანელი იცავდა, იქვე ასიოდე მეტრის მოშორებით კი გერმანელთა ათასეული იდგა.

დაყოვნება არ შეიძლებოდა. სახელდახელოდ შევადგინე რაზმი, რომელშიც ჩემთან ერთად შედიოდნენ: ფორე მოსულიშვილი, ვალოდია ჩეჟია, ნასყიდა სონგულაშვილი, მიტო ჩოლოყაშვილი, ბობოხია და ერთი იტალიელი პარტიზანი, სახელად განჯი.

შუაღამე იქნებოდა, ქალაქ ომენიაში რომ შევიპარეთ და ჰოსპიტალს მივუახლოვდით. ქვითკირის გალავნის გადალმა გერმანელი დარაჯის ფეხის ხმა ისმოდა. იგი ჭიშკართან მიმოდიოდა და ჯიბის მაშუქათი გზას ინათებდა.

ფორეს ვანიშნე. როგორც კი გერმანელი გალავნის კუთხეში მოვიდა, ქართველი პარტიზანი ვეფხვივით დაეცხრა და უსულოდ დასცა ძირს. შემდეგ მისი ავტომატი აიღო, მუზარადი დაიხურა და ვითომ აქ არაფერი მომხდარაო, იმ „ცხონებული“ ფაშისტის ნაცვლად ბოლთის ცემას შეუდგა. უხმაუროდ, ელვის სისწრაფით შევცვივდით საყარაულოში, იქ კიდევ ერთი ფაშისტი ჩავაჩუმეთ. დანარჩენები უბრძოლველად დაგვნებდნენ, ჩვენი დაჭრილი ბიჭები მათ ავკიდეთ ზურგზე და ჰოსპიტალი მივატოვეთ.

●

ლეგენდარული პარტიზანის კოტე ლეჟავას ათასეულს დომოდოსოლას რაიონში გერმანელების დივიზიამ შეუტია. ჩვენი ასეული ბრძოლის დაწყებას ელოდა. დაზვერვაზე სამნი წავედით: მე, ფორე მოსულიშვილი და ნასყიდა სონგულაშვილი. შევიპარეთ ქალაქ ომენიაში. გერმანელების ჯავშნოსანი მატარებლის წინ მთელი შემადგენლობა გამწკრივებულიყო და ოფიცრის საბრძოლო განკარგულებას ისმენდა. ცხადია, ისინი პარტიზანების გამოჩენას ღამით, მზისით, ამ შუა ქალაქში არ ელოდნენ. ვაგონის თვლებს ამოფარებულმა ფორემ ხელის ტყვიამფრქვევი მიუშვა და თითქმის გაანახევრა ფაშისტები. ვალში არც ჩვენ დავრჩით. თავგზააბნეული გერმანელები უსისტემოდ გარბოდნენ და ჯავშნოსნის კარს აწყდებოდნენ.

შემდეგ უკან დახევის ბრძანება გავეცი, მაგრამ ფორე არ ჩქარობდა ბრძოლის ველის დატოვებას. სამშვიდობოს გამოსულებმა ვუსაყვედურეთ კიდეც ასეთი გათამამებისათვის. არაფერი უთქვამს. თავისი ანგარიში ჰქონდა მტერთან და მის გასწორებას ჩქარობდა.

●

პარტიზანული შენაერთის შტაბში ცნობა მოვიდა, რომ ქალაქ ომენას მიმართულებით გერმანელთა დივიზიის ეშელონი მოდიოდა. მტრის დახვედრა იმ ოცეულს დაევალა, რომელშიც ფორე მოსულიშვილი მეთაურის თანამემწედ ითვლებოდა. ტრადიციისამებრ მთელმა რაზმმა გადავკოცნეთ ოცეული. ფორე კვლავ მშვიდი და ამაყი ჩანდა.

ეს იყო ჩვენი უკანასკნელი შეხვედრა. მეორე და მესამე დღეს კი მთელი ჩრდილოეთ იტალიის პარტიზანულ შენაერთებს მოედო ფორე მოსულიშვილისა და მისი რაზმის გმირულად დაღუპვის ამბავი.

მტრის ეშელონი ღამის 3 საათზე შემოსულა არონაში. ბიჭებს ფაშისტები ჩვეული „სტუმართმოყვარეობით“ მიუდიათ. გრიგალისებურმა ცეცხლმა აფორიაქა გერმანელები. ვაგონებიდან ხტებოდნენ, წალმა-უკუღმა გარბოდნენ და შურის მაძიებელთა ტყვიის მსხვერპლნი ხდებოდნენ. პარტიზანები ისე გათამამდნენ, რომ ხელყუმბარებს ვაგონების ფანჯრებში ტყორცნიდნენ.

ოცეულმა ბრწყინვალედ განახორციელა ოპერაცია და უკან დაბრუნებისას დაბა ბილჯირანტესთან ახლოს ქვითკირის შენობას შეაფარა თავი. გონს მოსული გერმანელები ქვალდაქვალ დაედევნენ პარტიზანებს და მათ სადგომს ალყა შემოარტყეს. დაიწყო სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა. პარტიზანები თავგამოდებით იცავდნენ თავს, გერმანელები კი ახლოს მიიწევდნენ სახლთან და პარტიზანებს ცოცხლად დანებებას და მეთაურის გადაცემას უბრძანებდნენ. როცა ტყვია-წამალი შემოლევათ, მძიმედ დაჭრილი ფორე ქარებში გადმომდგარა, ავტომატის უკანასკნელი ჭერი მიუშვია ფაშისტებისათვის, მეთაური მეკარ, გაუმარჯოს პარტიზანებსო და საკუთარი პისტოლეტის ტყვია შუბლში უხლია...

გერმანელებმა ქართველ პარტიზანთა ცხედრები ფორნებს გამოაბეს და სოფელში ათრიეს. მაგრამ ამით ვერც ადგილობრივი მოსახლეობა დააშინეს და ვერც პარტიზანებს ააღებინეს ბრძოლაზე ხელი. იტალიელები გულმართლად დასტიროდნენ მამაც „ჯოჯიანებს“. ჩვენ მეორე დღეს გავიგეთ ძმების დაკარგვა, შურიც ვიძიეთ — ერთს ათი ვანაცვალეთ...

●

დამარცხდა მტერი, რაიხსტაგზე წითელი დროშა აფრიალდა. დიდი გამარჯვების მოზიარედ ხამშობლომ იტალიის მთებში მებრძოლი ქართველი პარტიზანებიც დაასახელა. მათგან, ყველაზე ძლიერს — უხორცოსავით უშიშარს, გაუტეხელსა და მუდამ ამაყს, ფორე მოსულიშვილს — იტალიის მთავრობამ ეროვნული გმირის სახელი მიაკუთვნა.

ქარვინ და ქარფერი არ არის დავიწყებული

მაია ნემიროვა

ენვერ კალანდაძე

(გაგრძელება. დასაწყისი იხილეთ №№ 16, 17).

როდესაც ყველანი გავიდნენ, წიკლაური მივიდა ობერლენდერის მაგიდასთან და მტკიცედ წარმოთქვა:

— ბატონო კაპიტანო, გთხოვთ გადამაყენოთ.

გერმანელმა გაკვირვებისაგან სკამიდან წამოიწია.

— გადაგაყენოთ? რატომ? რა ამბავია? ცუდად ხართ ისევ?

— ჩემ თავს არ მივცემ უფლებას მეკავოს ათასეულის მეთაურის თანამდებობა, თუ არ მენდობიან.

— არ გენდობიან? საიდან იცით?

— მე თვალყურს მადევნებენ, ეს თქვენთვის ცნობილია.

— არაფერი არ მესმის... — გაშალა ხელები ობერლენდერმა.

— მე თქვენ „ბერგმანის“ მეთაურობა მოგანდეთ... ადმირალმა კანარისმა მოიწონა თქვენი კანდიდატურა... თქვენ ჩემს თანასწორად ხართ დაშვებული მთელ საიდუმლო დოკუმენტაციასთან... რომელ უნდობლობაზე ლაპარაკობთ?

სიმონი გერმანელს პირდაპირ და მტკიცედ მისჩერებოდა.


— გიმეორებთ, მე თვალყურს მადევნებენ, თქვენი აგენტები ფეხდაფეხ დამდევენ. მე თავს შეურაცხყოფილად ვთვლი და გთხოვთ გადამაყენოთ. მე რიგით ოფიცრად ვიმსახურებ.

ობერლენდერი მოიღუშა, აღელვებით დაარტყა თითები მაგიდას, წამოდგა, სიმონთან მივიდა, ხელი მხარზე დაადო და თითქოს შემარიგებლად უთხრა:

— დავანებოთ თავი ამ ლაპარაკს. გთხოვთ, განაგრძოთ მუშაობა, როგორც აქამდე. იცოდეთ: მე ისევ გენდობით, როგორც წინათ გენდობოდით.

წიკლაური შტაბიდან ცოტაოდნავ დამშვიდებული გამოვიდა. ახლა ის დარწმუნებული იყო, რომ ობერლენდერს კი არა, დიურს უნდოდა მისი კომპრომეტირება, ხოლო როცა მტერს პირადად იცნობ, მასთან ბრძოლა შედარებით იოლია.

ობერლენდერმა დიურს გამოუძახა და გაცოფებული ღრიალებდა:



საჭე

ნაწყვეტი წიგნიდან

— უჩემოდ როგორ გაბედე წიკლაურისათვის აგენტების მიჩენა? ვინ მოგცათ ამის უფლება?! ვინ არის აქ უფროსი, მე თუ შენ?! იმის ნიჭიც არ გაგაჩნიათ, რომ უბრალოდ ადევნოთ თვალყური. მე მოვახსენებ ბერლინს, რომ გამოგიძახონ ჭკუის დასარიგებლად, არაფერი თქვენ არ შეგიძლიათ!

ობერლენდერის კაბინეტიდან დიური წყენისა და რისხვისაგან ჭარხალივით გაწითლებული გამოვარდა და გაცოფებული გაბლიანს დაჭტაკა. გაბლიანი დუმდა. დიურმა შეურაცხყოფა მიაყენა და ჯავრი მას მხოლოდ წიკლაურზე შეეძლო ამოეყარა. აგენტებს უბრძანა, ძველებურად თვალი არ მოეშორებინათ წიკლაურისათვის, ოღონდ უფრო მკაცრად დაეცვათ კონსპირაცია.

თავი XVI

ნუნინერი ზეინკლიშვილი ორმოც წელს იქნებოდა მიღწეული, დაბალი დაბალი იყო, ვიწროგულმკერდიანი, წყნარი, პირქუში სახე ჰქონდა, კაცი იფიქრებდა, არავითარ ძალას არ შეუძლია მისი წონასწორობიდან გამოყვანაო. არავის არც მეგობრობდა და არც მტრობდა. ზანტი, თითქოს მომძინარე სახე ჰქონდა. იფიქრებდით ძილი აკლიაო, მაგრამ, სამაგიეროდ, ჩინებული მესანგრე და ქეთილსინდისიერი მუშაკი იყო. მას არც პოლიტიკა აინტერესებდა, არც ლიტერატურა, არც ცხოვრება და თანამემამულეთა, ყაზარმის მეზობელთა საზრუნავი. მაგრამ საკმარისი იყო ვინმეს საუბარი დაეწყო ამფიოქებელთა ან მესანგრეთა ცხოვრებაზე, რომ მაშინვე გამოცოცხლებულიყო და საუბარში ჩაბმულიყო.

ობერლენდერი და დიური დიდხანს ყურადღებით აკვირდებოდნენ ინჟინერს, შემდეგ კი ანდეს ბერგმანელების მომზადების საქმე მესანგრეობის დარგში და, ასე განსაჯეთ, ასფალტისებელი მასალების საწყობიც კი. გერმანელებს საკუთარი „დინთის ჯასრი“, სადაც საბჭოთა სამხედრო ტყვეები იყვნენ, უფრო მეტად აშინებდათ, ვიდრე რუსული არტილერია.

უკვე ორ თვეზე მეტი გავიდა, რაც ზეინკლიშვილი თავის ახალ მოვალეობას ასრულებდა და, თუმცა უმწიკვლოდ მუშაობდა, დიური მაინც თვალს არ აცილებდა. ზეინკლიშვილის პირად საქმეში დიურმა აღნიშნა: „განუწყვეტელი ყურადღებაა საჭირო“. ამის შესახებ არაფერი იცოდნენ პატრიოტებმა, არც წიკლაურმა იცოდა რამე, როდესაც რჩევას აძლევდა ხმელეთის, შეამოწმე, დაუკვირდი, შეიძლება თუ არა მისი პატრიოტული ჯგუფის მუშაობაში ჩაბმაო.

თავდაპირველად ხმელეთი თვითონ ცდილობდა ზეინკლიშვილთან დამეგობრებას. მაგრამ საუბარი ამინდსა და უკანასკნელ დროს გაუარესებულ ჯაჭმილებს ვერ სცილდებოდა. ზეინკლიშვილი გრიგოლს უხასიათოდ აძლევ-

(გაგრძელება მე-6 გვერდზე)

„აქ განისვენებს ამილახვარი...“

ასუანის კაშხალის მშენებლობაზე ბევრი იყო ქართველი სპეციალისტი. მათ შორის, ვინც არაბ ხალხს მეგობრობის ხელი გაუწოდა, მათი პროგრესისა და აღორძინებისათვის ცხრა მთა და ცხრა ზღვა გადაიარა, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი რაფიელ კოკოშაშვილიც გახლდათ. იგი თითქმის ორ წელიწადს სათავეში ედგა საპროექტო ინსტიტუტს, სადაც, ურთულესი სამშენებლო პროექტების შედგენა-დამუშავების გარდა, არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკას ადგილობრივ კადრებსაც უმზადებდა.

— თავისუფალი დრო იშვიათად მქონდა, მაგრამ როგორც კი მოვიცლიდი, ვიცნობოდი ამ ქვეყნის წარსულს, ცივილიზაციას, რომელიც მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესია, — ასე იგონებს ბატონი რაფიელი ეგვიპტეში გატარებულ დღეებს.

რა თქმა უნდა, ჩვენი თანამემამულე მასპინძელთა წარსულის გაცნობამ მამლუქთა სასაფლაოზეც მიიყვანა. იქ, მისივე სიტყვით რომ ვთქვათ, რაიმე განსაკუთრებულს, ქართული კაცის გულის ამაღელვებელს, ვერ წააწყდა. სამაგიეროდ დიდხანს, ძალიან დიდხანს იდგა საფლავის წინ, რომელიც მკითხველს აცნობს, აქ საფრანგეთის არმიის პოლკოვნიკი დიმიტრი ამილახვარი განისვენებსო.

ამ საფლავს ქართველი ინჟინერი ალექსანდრიიდან 100 კილომეტრის დაშორებით, ელ-ალამეინის ველზე წააწყდა. აქ, მეორე მსოფლიო ომის ბრძოლების მოსაგონებლად, ბრძოლებისა, რომელიც ისტორიაში „აფრიკის სტალინგრადის“ სახელწოდებით შევიდა, რამდენიმე უზარმაზარი სასაფლაოა. ერთმანეთისაგან არც ისე მოშორებით სამუდამოდ განისვენებს ინგლისელი, ფრანგი, იტალიელი...

— მაშინ ვერაფერი გავიგე, — გვეუბნება ბატონი რაფიელი, — ვერ ამოვხსენი, როგორ მოხვდა ქართველი კაცის საფლავი ელ-ალამეინის ველზე. ჩემმა შვილებმა საფლავი ყვავილებით მორთეს, სამახსოვრო სურათიც გადავიღე, ეს იყო და უს. მას შემდეგ კარგა ხანმა გაიარა და აი, თქვენს გაზეთში კვლავ შევხვდი გმირს, რომლის საფლავის სურათს ასე სათუთად ვინახავდი.

დიმიტრი ამილახვრის სახელი ახლა ყველა ქართველისათვის ცნობილია. მის ვაჟკაცობას პატივსა სცემს დიდი თუ პატარა. სასიამოვნოა, რომ გმირის საფლავის მიგნებაც მოხერხდა. სხვა თუ არაფერი, ეგვიპტეში ჩასული ქართველი კაცი თითო ყვავილს მაინც მიიტანს მამაცი თანამემამულის საფლავზე.





სამშობლოს სითბოს ყველას გავუნაწილებ

სამშობლოს დაკარგვა, უცხო მხარეში უთვისტომოდ ცხოვრება ისეთი ტკივილია, რომელიც არასოდეს ყუჩდება. მშობლების მიერ გადადგმული სამედიცინო წიგნაკი ახლა უფრო მაღონებს, ამ აყვავებულ ქვეყანას რომ ვხედავ, საქართველოს ბედნიერების მოწმე რომ გავხდი...

ქალბატონ მერი წერეთელს, ამ სამოდე კვირის წინათ რომ გვეწვია ბელგიიდან, მხოლოდ შთაბეჭდილებების გაზიარება ვთხოვეთ, — არ გვინდოდა სტუმარი ძველ სატკივარს შეხებოდა. მან კი საუბარი შორიდან დაიწყო.

— ადამიანს სამშობლო მშობელზე მეტად, თორემ ნაკლებად როდი სჭირდება. ჩემმა შვილებმა კი, ქართულ სახელსა და ბელგიურ გვარს რომ ატარებენ, დედის ენა ძალზე ცუდად იციან. ერთი კია — საქართველოსთან შეხვედრა მათი ყველაზე ტკბილი ოცნებაა...

საქართველოში სტუმრობის იმედს არც ჩემი უფროსი და ელენე კარგავს. სხვათა შორის, მან ძალზე გაიხარა, „სამშობლოს“ ფურცლებზე მისი წერილი „ქართული და ევროპული მრავალხმიანობის მიმართების საკითხები“ რომ იხილა.

თქვენ, ალბათ, გაინტერესებთ, მაინც რამ განაპირობა ჩემი ჩამოსვლა თბილისში, ქალაქში, რომელიც 12 წლისამ, თითქმის ოთხი ათეული წლის წინათ დავტოვე. ამის თავი და თავი ნინო რამიშვილისა და ილიკო სუხიშვილის ანსამბლთან შეხვედრა გახლდათ. ამდენი ქართველი ერთად რომ დავინახე, ყველა მოგონებამ გაიღვიძა. მეგობრებმაც მირჩიეს, სამშობლო მოინახულეო. ამ განზრახვას ჩემმა აქაურმა კეთილმა მასპინძლებმა, ბიძაშვილებმა ელენე წერეთელმა და მისმა მეუღლემ ალექსანდრე კლიმიაშვილმა შეასხეს ფრთები, — მომიპატიჟეს და აი მეც აქა ვარ. სამ კვირაში ძალზე ბევრის ნახვა მოვასწარი, არ დამიტოვებია თბილისის არც ერთი კუთხე-კუნჭული, ვიყავი მცხეთაში, მიხეილ მამულაშვილის ბაღში, ვნახე კახური რთველი..

ყველა სოფელს სკოლა და საავადმყოფო, მოასფალტებული გზა და ელექტროგანათება რომ აქვს, ეს ჩემთვის ბედნიერი აღმოჩენაა. იცით, როდესაც აკურის საშუალო სკოლას შევავლე თვალი, მის ეზოში მყოფ ბავშვებს რომ შევხედე, თავი ასეთ ფიქრზე დავიჭირე — სხვას რომ ეთქვა, დავიჯერებდი? — არა. იმიტომ კი არა, რომ საქართველოს წინსვლა მეწყინებოდა. უბრალოდ, ძნელი დასაჯერებელია.

ახლა უველაფერი მჯერა. მახარებს ამ აყვავებული ქალაქებისა და სოფლების ცქერა. მართლაც კარგად უვლით ქვეყანას, მის წარსულს, ზრუნავთ მომავალზე. რაც მთავარია, იცავთ ტრადიციებს და დედაენის სიწმინდეს...

ბელგიაში რომ ჩავალ, ნანახსა და განცდილს, პირველ რიგში, შვილებს გავუზიარებ, შემდეგ აქედან წაღებულ მზის სითბოს ყიფიანებს, ბერიკაშვილებს, დადიანებსაც გავუნაწილებ, ყველა იმ ქართველს, ვინც ბელგიაში ცხოვრობს, მათაც ხომ ასე ძლიერ ენატრებათ სამშობლო...

საუბარი ჩაიწერა რევაზ მაჭავარიანმა.

ჰოეკთა დიდი ფორუმი

ბელგიის ქალაქ ლიეჟში, სამორინოს ვრცელ დარბაზებში 3-დან 8 სექტემბრამდე გაიმართა მსოფლიოს 43 ქვეყნის პოეტთა დიალოგი-ბიენალე. იგი მიმდინარეობდა დევიზით — „1970: ევოლუცია თუ რევოლუცია“. საბჭოთა დელეგაციაში შედიოდნენ ლენინური პრემიის ლაურეატი სერგეი მიხალკოვი და რუსთაველის პრემიის ლაურეატი ირაკლი აბაშიძე.

დისკუსიაში მონაწილეობა მიიღო ირაკლი აბაშიძემ, რომელმაც პასუხი გასცა დასავლეთის პოეტთა რიგებში წამოჭრილ კითხვას — როგორია ჩვენი პოეზიის შემოქმედებითი მუშაობის პრინციპები. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა პოეზიის პრინციპი სხვა არა არის რა, თუ არა სოციალურ სინამდვილესთან, დღევანდელ დღესთან კავშირი, რაც კარგა ხანია დავას არ იწვევს ჩვენში, თუმცა პრინციპის ასეთი ერთიანობა ხელს როდი უშლის პოეზიის პრობლემებსა და პოეტური ხელოვნების საკითხებზე საქმიან შემოქმედებით კამათს. ირაკლი აბაშიძემ გამოთქვა მოსაზრება მსოფლიოს საერთო პოეზიის განვითარების შემდგომ პერსპექტივებსა და ამოცანებზე.

ქართველი პოეტის გამოსვლას ბიენალის მონაწილენი დიდი ყურადღებით მოეკიდნენ.

ესპანური დაფნები

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1970 წლის 18 სექტემბრის ბრძანებულებით საბჭოთა სახვითი ხელოვნების განვითარებაში დიდი მიღწევებისათვის **აპოლონ ყარამანის ძე ჟუთათელაძეს სსრ კავშირის სახალხო მხატვრის** საპატიო წოდება მიენიჭა.

ახალი ჩანაწერები

საქართველოს რაიონებში სამეცნიერო ექსპედიციიდან დაბრუნდა თბილისის უნივერსიტეტის ფოლკლორისტიკის კათედრის წევრთა ჯგუფი, პროფესორ ქსენია სიხარულიძის ხელმძღვანელობით. ექსპედიციამ ჩაიწერა ზეპირი ხალხური შემოქმედების ათასზე მეტი ნიმუში, თქმულებანი, ზღაპრები, სიმღერები და ლეგენდები.

ხალხური შემოქმედების ბევრი ნიმუში დაიბეჭდება ქართული ხალხური სიტყვიერების მრავალტომეულში, რომელსაც რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი ამზადებს გამოსაცემად.

გასტროლები კუბაში

კუბაში დიდი წარმატებით მიმდინარეობს საქართველოს საკრავიერი ტრიოს გასტროლები, რომელიც იქ იმყოფება კულტურის ეროვნული საბჭოს მიწვევით. ტრიოს შემადგენლობაში არიან საქართველოს დამსახურებული არტისტები მარინე მდივანი, თამარ გაბარაშვილი და ლიანა ისაკაძე.

ოქტომბერი

შემოდგომა ძალაში შევიდა. რთველია საქართველოში. სადაც უნდა მიხვიდე, ყველგან შრომის ზეიმია. ამინდიც ჩინებულია. იქნებ ამიტომაც არის, ღირსშესანიშნავ თარიღებს, ამ თვეში ასე უხვად რომ გვხვდება, მეტი შნო და ლაზათი დაჰკრავს.

● პოეზიის დღე—რუსთაველის დღე—ასე ვუწოდებთ ქართული პოეზიის დიდ დღესასწაულს, რომელიც 1 ოქტომბერს დაიწყება და 11 ოქტომბერს დამთავრდება. არ დარჩება არც ერთი სოფელი, დაბა თუ ქალაქი, მუზის ამ დიდ ზეიმში მონაწილეობა რომ არ მიიღოს.

● არ დაგავიწყდეთ, 4 ოქტომბერს მისალოცი ბარათები გაუგზავნოთ თქვენს საყვარელ პედაგოგებს — ეს დღე ხომ მასწავლებლის დღეა.

● 11 ოქტომბერს მთელი ჩვენი ქვეყანა ზეიმით აღნიშნავს სოფლის მეურნეობის მუშაკთა დღეს—ხვავი და ბარაქა მათ ნახელავს!

● 75 წლის წინათ, 1895 წლის 12 ოქტომბერს დაიბადა ცნობილი რეჟისორი ალექსანდრე თაყაიშვილი.

● 14 ოქტომბერს დაბადების 75 წლისთავი უსრულდება გამოჩენილ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს პროფესორ სიმონ ყაუხჩიშვილს.

გაზეთ „სამშობლოს“ რედაქცია, მკითხველებთან ერთად, ულოცავს ბატონ სიმონს დაბადების დღეს და ჯანმრთელობას, შემდგომ შემოქმედებით გამარჯვებებს უსურვებს მას.

● 15 ოქტომბერს ქართველი საზოგადოებრიობა კიდევ ერთ გამოჩენილ ადამიანს მიეულოცავს დაბადების დღეს—სსრ კავშირის სახალხო არტისტი დავით ანდღულაძე 75 წლისა ხდება.

● 125 წლის წინათ, 1845 წლის 21 ოქტომბერს გარდაიცვალა უდიდესი ქართველი პოეტი ნიკოლოზ ბარათაშვილი.

● 65 წლის წინათ, 1905 წლის 26 ოქტომბერს დაიწყო ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის მთავარი სახელოსნოებისა და დეპოს მუშების გაფიცვა, რომელიც მალე საქართველოს მშრომელთა საყოველთაო პოლიტიკურ გაფიცვად გადაიზარდა.

● 27 ოქტომბერს დაბადების 130 წელი უსრულდება დიდ ქართველ პედაგოგს, „დედაენის“ პირველ შემდგენელს იაკობ გოგებაშვილს.

● 31 ოქტომბერს კალენდარზე გკითხულობთ: 1745 წელი—ქართველმა მეცნიერმა ვახუშტი ბაგრატიონმა დაამთავრა ფუძემდებელი ნაშრომი—„აღწერა სამეფოსა საქართველოსა“.

ᲥᲐᲕᲘᲜ ᲓᲐ ᲥᲐᲥᲤᲔᲠᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲕᲘᲬᲧᲔᲑᲣᲚᲘ

ვერმახტის საიდუმლო საჭმე

(გაგრძელება)

და პასუხს, აშკარად ეტყობოდა, რომ არ სურდა მასთან ნაცნობობის გაღრმავება.

მაშინ გრიგოლმა გადაწყვიტა პირქუშ მესანგრესთან გრიშა ნინიკაშვილი მიეგზავნა, ისიც ინჟინერია და იქნებ უფრო მალე მოძებნოს საერთო ენაო.

მესანგრეთა მორიგ მეცადინეობაზე გრიშამ დავა დაუწყო ზეინკლიშვილს იმაზე, თუ როგორ უფრო სწორად უნდა ჩაეწყოთ ასაფეთქებელი მასალა ცარციანი გრუნტის მთის პირობებში.

ნინიკაშვილმა იცოდა, რომ თვითონ მართალი არ იყო, მაგრამ მაინც თავგამოდებით იცავდა თავის პოზიციას, აქაოდა იქნებ მეცადინეობის შემდეგ გავაგრძელოთ დავაო.

ასეც მოხდა.

— მე რკინიგზის ინჟინერი ვარ, — მხარი დაუჭირა ნინიკაშვილს მიტო ჯიმუხაძემ, — ციმბირში გზებს ვაშენებდი, მრავალი კუბური მეტრი მიწა ამიფეთქებია, გრიშა მართალია!

— მიმიფურთხებია ასეთი ინჟინრისათვის! — გული მოსდიოდა ზეინკლიშვილს, — შენ ჯერ კიდევ აკვანში იწექი, მე რომ დარიალის ხეობაში გზები გამყავდა, ბავშვები ხართ!

ზეინკლიშვილთან მიტო შეურაცხყოფილის პოზით მიიჩრა.

— მე შენზე ახალგაზრდა კი ვარ, მაგრამ ვინ მოგცა უფლება შეურაცხყოფა მომაყენო!

გრიშა შუაში ჩაუდგათ.

— დაწყნარდით ბიჭებო, არ არის ლამაზი! რას იფიქრებენ გერმანელები?

მიტო არ ცხრებოდა.

— ბოდიში მოიხადოს!

ნინიკაშვილმა ამხანაგს მხარზე ხელი მოხვია.

— დაწყნარდით, გთხოვ. — შემდეგ ნინიკაშვილს მიუბრუნდა და სიცილით უთხრა: — მართლა დინამიტია, არა?! ეს მყინვარწვერსაც კი აფეთქებს ძირფესვიანად.

— კი, აფეთქებს! — ჩაილაპარაკა ზეინკლიშვილმა, — ელემენტარული წესები არ ესმის.

თითქოს რაღაც ახალი მოისაზრაო ნინიკაშვილმა მოულოდნელად წამოიძახა:

— მოდი ეს ჩვენი დავა პრაქტიკული ცდით გადავწყვიტოთ.

ზეინკლიშვილმა პასუხი დააყოვნა.

— კი მაგრამ, ასაფეთქებელ მასალას სად იშოვნი?

— მე კი კაცო, მთელი საწყობი სავსე არა გაქვს?

— ოო, არა! — ხელი ჩაიქნია ზეინკლიშვილმა, — ბატონ ობერლნდერის დაუკითხავად ერთ გრამსაც არ ავიღებ.

— სთხოვე მერე.

ზეინკლიშვილს უარის თქმა უნდოდა, მაგრამ როგორც კი თვალი მოჰკრა მიტოს დამცინავ სახეს, დათანხმდა:

— კარგი, ვეცდები.

— არ მისცემს მაგას გერმანელი ასაფეთქებელ მასალას. — უთხრა მიტომ ნინიკაშვილს, როდესაც ისინი ზეინკლიშვილს ჩამოსცილდნენ.

— ამას ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა არა აქვს. მთავარი ის არის, რომ ჩვენ მასთან საუბრის გაგრძელების საბაბი გვაქვს, მაშასადამე, არის შესაძლებლობა, რომ უფრო დავუახლოვდეთ მას.

მიტოს წინასწარმეტყველება არ გამართლდა. ობერლნდერმა ნება მისცა ზეინკლიშვილს აეღო საწყობიდან სამი ყალი დაწნეხილი პიროქსილინის კუბიკი, მაგრამ იქვე შეატყობინა დიურს, გაძლიერებით ადევნეთ თვალყური ინჟინერსო.

— საუზმის მერე წავიდეთ მთაში. — შეატყობინა ზეინკლიშვილმა გრიგოლ ნინიკაშვილს.

— ობერლნდერმა დაგრთო ნება? — გაუხარდა ნინიკაშვილს.

— სამი კუბიკი გაიმეტა, — უპასუხა ზეინკლიშვილმა და განშორებისას დაუმატა: — ის შენი ახლად გამომცხვარი პროფესორიც წამოიყვანე თან.

საუზმის შემდეგ ნანიკაშვილი, ჯიმუხაძე და ზეინკლიშვილი ნათში წავიდნენ. საათნახევარი ეძებდნენ შესაფერის ადგილს ჩაფიქრებული ცდის ჩასატარებლად და, როგორც იქნა, შეარჩიეს.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)



სიყვარულისა და ყვავილების საკასუხოდ

თექვსმეტი წელი ახლახან შეუსრულდა. სპორტულმა სამყარომ კი სრულიად ნორჩი, 13 წლისა გაიცნო, 1967 წელს, მოსწავლეთა სპარტაკიადაზე, 100 მეტრზე გულაღმა ცურვაში მესამე ადგილი რომ დაისაკუთრა. მანამდე კი ცურვაზე ისე, სახალისოდ დადიოდა, უფრო მეტად მუსიკა და ფრანგული ენა იტაცებდა.

აუზის სიახლოვე რომ არა (თინა „დინამოს“ სტადიონთან ცხოვრობს), შეიძლება ცურვის მაგივრად ტანვარჯიშის სექციაში ევლო. მით უმეტეს დეიდა-მისიც, წარსულში ცნობილი ტანმოვარჯიშე, რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელი, თინა ქოიავაც თავისკენ ეწეოდა. მაგრამ ცურვას შერჩა და ახლა არჩევანზე აღარ ნანობს...

მორცხვი, ცხოვრებაში ძალზე მოკრძალებული გოგონა, საცურავ ბილიკზე უყელას მიმართ „დაუნდობელია“. თინას ტაშს უკრავდნენ რუმინეთსა და უნგრეთში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და ინგლისში... იგი მექსიკის ოლიმპიური ასპარეზობის მონაწილე გახლავთ, რა ვუყოთ, რომ შორეული სტუმართმოყვარე ქვეყნიდან უჯილდოოდ დაბრუნდა. ეს ხომ სკოლა იყო, ურომლისოდაც დიდ სპორტში შესვლა წარმოუდგენელია.

და აი თინა ზედიზედ ამყარებს ჩვენი ქვეყნის რეკორდებს 100 და 200 მეტრზე გულაღმა ცურვაში. შეჯიბრებიდან შეჯიბრებამდე იზრდება ოქროს მედლების ნადავლი... სულ ახლახან კი მოწმენი გავხდით თინას უყველაზე დიდი გამარჯვებებისა. ბარსელონის „ცისფერ ბილიკებზე“ ქართველმა ქალიშვილმა ევროპის ჩემპიონისა და რეკორდსმენის ტიტული მოიპოვა 100 მეტრზე გულაღმა ცურვაში, მესამე იყო 200 მეტრზე გულაღმა ცურვაში, ხოლო კომბინირებულ ესტაფეტაში 4X100 იგი მეგობრებთან ერთად ვერცხლის მედლის მფლობელი გახდა.

— ჩემი ყვირილი მთელ სახლს, მთელ ეზოს ესმოდა, მე კი მინდოდა, ჩემ გოგოს ბარსელონაში გაეგონა... ყველა ღელავდა, შვილო, მაგრამ ჩემზე მეტად არავინ. ტელევიზორიდან რომ მიცქეროდა, მთლად შევიშალე ამ ხნის ქალი: ტელეფონს ვეცი, ესპანეთში მინდოდა დარეკვა... არ მოხერხდა, შემდეგ დეპეშა გავუგზავნე. ეს მაინც მაქვს სატრაბახო — ჩემზე ადრე საქართველოდან გამარჯვება არავის მიულოცავს, — გვიყვება თავის განცდებზე თინას ბებია, ქალბატონი ლუბა, და თან იმ მედლებსა და პრიზებს გვიჩვენებს, თინას ცისფერ ბილიკებზე რომ მოუპოვებია.

თინას შესახებ დედაც ბევრს გვესაუბრა, დეიდაც, მეგობრებიც, თვითონ კი, როგორც ყოველთვის, მორცხვობს, ლონდონის, პარიზის, მექსიკის, ბერლინის, ბუდაპეშტის მშვენებით მოხიბლული იქაურ ადამიანებზე, მათთან შეხვედრებზე უფრო მეტს ლაპარაკობს, ვიდრე თავის თავზე. განსაკუთრებით პარიზში გატარებული ორი დღე დაახსომდა. ფრანგული ენის ცოდნამ საშუალება მისცა დალაპარაკებოდა გულღია მასპინძლებს, თანაგუნდელების თარჯიმნობაც ეკისრა...

— ახლა ალბათ დაისვენებთ, შემდეგ კი კვლავ სწავლა, წვრთნა, შეჯიბრება?.. — ვეკითხებით თინას.

— დასვენებისა რა მოგახსენოთ, ცურვა ჩემთვის დასვენებაც არის და დიდი სიამოვნებაც, რაც შეეხება სწავლას, სამედიცინო ინსტიტუტის პირველი კურსის სტუდენტს ალბათ წიგნზე ღამეების გათენებაც მომიხდება.

— ჩემი ოცნება? წარმატებით გამოვიდე მსოფლიოს პირველობაზე, მონაწილეობა მივიღო ოლიმპიურ ასპარეზობაში...

...და გახდეთ მსოფლიო და ოლიმპიური ასპარეზობის ჩემპიონი?

—გთხოვთ, ეს არა თქვათ, არ მიყვარს, სპორტსმენი ტრაბახს რომ მოჰყვება — აუცილებლად გავიმარჯვებო. მე სიამოვნებისათვის ვცურავ, ვეცდები, შეძლებისდაგვარად ეს სიამოვნება გულშემატკივრებსაც განვაცდევინო. მათ ხომ ესპანეთიდან დაბრუნებულს ამდენი ყვავილი და სიყვარული დამახვედრეს თბილისის აეროდრომზე...

ომარ მესხიშვილი







დიდმა მთებმა იწყეს დრეკა...

სურათებზე: ქართველი მთამსვლელები პამირის მთებში. ზევით, მარცხნივ — ოქტომბრის პიკი.



ქართველმა ალპინისტებმა კიდევ ერთი გამარჯვება მოიპოვეს. მათ წარმატებით დალაშქრეს პამირის 11 მწვერვალი, რომელთაგან რვა ექვსი ათას მეტრზე მაღალი იყო.

ექსპედიციის მონაწილეებმა გივი ყალაბეგიშვილმა (ექსპედიციის უფროსი), ლევან ახვლედიანმა (ექსპედიციის უფროსი მწვრთნელი), ჯუანშერ მუსელიანმა, დიმიტრი შარაშენიძემ, თენგიზ ბერიშვილმა, გივი წერედიანმა, რომან გიუტაშვილმა და სხვებმა კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, რომ ქართული ალპინიზმის სკოლა მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესია, რომ „კლდის ვეფხვს“ მიშა ხერგიანს ღირსეული მემკვიდრეები ჰყავს.

ექსპედიციის დროს მოპოვებულ წარმატებათა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ოქტომბრის პიკის (6780 მეტრი) დალაშქვრა აღმოსავლეთის კედლით.

აი როგორ იგონებს ამ ლაშქრობას ექსპედიციის ერთ-ერთი მონაწილე, ჯგუფის კაპიტანი, დიმიტრი შარაშენიძე.

— ჩვენამდე არც ერთ მთამსვლელს არ ჰქონია პატივი ოქტომბრის პიკის აღმოსავლეთ კედლის დალაშქვრისა. ვიდექით პამირის ერთ-ერთი უმაღლესი და მრისხანე მწვერვალის ძირში, ჯხედავდით ნისლში გახვეულ პიკის წვერს და ერთი სული გვქონდა, როდის დაიწყებოდა იერიში. რას აკეთებენ ამ დროს მთამსვლელები? ისინი უკვე აღარ ეკუთვნიან „მიწიერ“ ცხოვრებას და მხოლოდ დასახული ამოცანის გადაწყვეტაზე ფიქრობენ.

შიში? შიში მთამსვლელისათვის უცხოა, მშიშარები მთას არ უყვარს...

ქართველ მთამსვლელთა გამარჯვებას ალბათ ბევრ გულთბილ სტრიქონს მიუძღვნიან უურნალისტი დუდე გედენიძე და მწერალი ოტია იოსელიანი, რომლებიც ექსპედიციას პამირში ახლდნენ.

ეს ავსტრები ჩვენმა ალპინისტებმა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის 50 წლისთავს მიუძღვნეს.

სპეციალისტთა აზრით ჯგუფის წევრები, რომლებმაც ოქტომბრის პიკი დალაშქრეს, სასიმაღლო-ტექნიკურ კლასში სსრ კავშირის ჩემპიონობის პრეტენდენტები არიან.

კირველი ქართველი დიდოსტატი

ფიდეს 41-ე კონგრესის გადაწყვეტილებით ქართველ მოჭადრაკეს ბუხუტი გურგენიძეს საერთაშორისო დიდოსტატის წოდება მიენიჭა. ამავე კონგრესზე საერთაშორისო ოსტატის წოდება მიენიჭა რომან ხინჯიხაშვილს.

ბუხუტი გურგენიძე, რომელიც ახლა 37 წლისაა, ამ საპატიო წოდების მქონე პირველი ქართველი მოჭადრაკეა.

ფეხბურთი

ქვლავ დამარცხება

თბილისის „დინამომ“ მოსკოვის თანაკლუბელებთან შეხვედრაში რიგით მეექვსე დამარცხება იგემა. მოწინააღმდეგის სამ ბურთს თბილისელებმა ერთით უპასუხეს.

ვინ დატოვებს უმაღლეს ჯგუფს?

როგორც ცნობილია, წლეულს „ა“ კლასის უმაღლეს ჯგუფს სამი გუნდი ტოვებს. მათ შორის, ვისაც უმაღლესი ლიგის დატოვების საფრთხე ემუქრება, ქუთაისის „ტორპედოც“ არის. ახლა ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ წარმართავს „ტორპედო“ დარჩენილ თამაშებს. ჯერჯერობით კი...

ვოროშილოვგრადის „ზარიასთან“ შეხვედრაში ქუთაისელებმა ვერაფრით გაგვახარეს და მოედანი დამარცხებულებმა დატოვეს — 1:3. ამის შემდეგ ქუთაისელები მინსკის „დინამოს“ შეხვდნენ და კვლავ მარცხი იგემეს 1:0. ვერც მოსკოვის დინამოელებს გაუწიეს წინააღმდეგობა, ამაზე ნათლად მეტყველებს ანგარიშიც — 5:1 მოსკოველთა სასარგებლოდ.

გამოიწერეთ გაზეთი „სამშობლო“!

ძვირფასო თანამემამულენო!

გაზეთ „სამშობლოს“ მკითხველებო!

ცხადდება ხელმოწერა 1971 წლისათვის გაზეთ „სამშობლოზე“.

უცხოეთში მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეებსა და ყველა მოქალაქეს შეუძლია გამოიწეროს გაზეთი „სამშობლო“ საზღვარგარეთის იმ ფირმებში, სადაც არსებობს საკავშირო გაერთიანება „საერთაშორისო წიგნის“ (V/O „Mezhdunarodnaya Kniga“) წარმომადგენლობა და იყიდება საბჭოთა გამოცემები.

გაზეთის ერთი წლით გამოწერა ღირს 2 ამერიკული დოლარი.

სხვა ქვეყნების ვალუტით გამოწერისას გაზეთის ღირებულება იანგარიშება ხელმოწერის დღეს სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად.

შენიშვნებით!

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა — გაზეთი „სამშობლო“ გამოდის თვეში ორჯერ, ყოველი თვის მე-2 და მე-4 პარასკევს, რვა გვერდად. იგი ასახავს ჩვენი დედასამშობლოს კულტურულ, ეკონომიურ, პოლიტიკურ ცხოვრებას. აშუქებს ლიტერატურის, ხელოვნების, მეცნიერების, ისტორიის, სპორტის, ჭართული ზნე-ჩვეულებების, ყოფა-ცხოვრების საკითხებს.

არ დაგავიწყდეთ გაზეთ „სამშობლოს“ დროულად გამოწერა!

ავსტრალია

New World Booksellers,
425, Pitt Street,
Sydney, N. S. W.

Spring Bookshop,
7 Collins Street,
Melbourne, Victoria

Peoples Bookshop,
205 Brunswick Street, Valley,
Brisbane, Queensland

ავსტრია

15 – 10
Globus, Vaz
Hoechstaedtpl. 3
A-1200 Wien, Osterreich

ალჟირი

SNED 3, Bd. Zirout Youcef
Alger

აშშ

Stechert-Hafner, Inc.,
31 East 10th Street,
New York 3, N. Y.

Schoenhof's Slavic Books, Inc.,
1280 Massachusetts Avenue,
Cambridge 38, Mass.

ახალი ზელანდია

Progressive Books,
14 – 16 Darby Str.,
Auckland C. I.

ბელგია

Librairie
Du Monde Entier
Place St. Jean, 5
Bruxelles

ბრაზილია

Livraria «Intunliv»
Rua Senador Dantas 117,
Sobre Loja 206,
Rio de Janeiro

Livraria «Stjepan Rozov»
Rua 24 de Maio, 35,
Sala 1213
São Paulo

დასავლეთ გერმანია

Kawe
Kommissionsbuchhandlung
I Berlin 12 (Charlottenburg)
Hardenbergplatz 13

დასავლეთ გერმანია

Brücken-Verlag GmbH
Ackerstraße 3 (Worringerplatz)
4 Düsseldorf I

W. E. Saarbach GmbH
Ausland-Zeitungshandel
5 Köln I
Postfach 1510

Presse-Vertriebs-Gesellschaft mbH
Börsenstraße 13 – 15
6 Frankfurt am Main

ეგვიპტე

Modern Age Establishment
Dar-El-Shark Bookshop,
8, Talaat Harb Str.,
Cairo

ინგლისი

Central Books Ltd.,
37 Grays Inn Road,
London W. C. I

Collet's Holdings Ltd.,
Denington Estate,
Wellingborough, Northants

ინდოეთი

People's Publishing
House (Private) Ltd.,
Rani Jhansi Rd.,
New Delhi-1

საღ ეშიკლება გამოიწეროთ ჩვენი გაზეთი

ირანი

Bookstore Sako Hovsepian 48,
Avenue Marshal Stalin,
Teheran

«Gutemberg»
Khiabane Manuchehri,
Teheran

იტალია

Associazione
Italia – URSS
Via Edilio Raggio, 1 – 6
16124 Genova

Associazione
Italia – URSS
Sezione di Milano
Via Dogana, 4
Milano

So. Co. Lib. Ri.
Piazza Margana, 33
00186 Roma

კანადა

Periodica, Inc.,
7045 Avenue du Parc
Montreal 15, Que.

კუბა

Distribuidora Nacional
de Publicaciones
Neptuno, 674, Apartado
1356
Habana, Cuba

ნორვეგია

Tanum-Cammermeyer
(Subscription-Centre)
Karl Johansgt, 43
Oslo I

პაკისტანი

Standard Publishers, Ltd.,
3/10, Liaquat Avenue,
Dacca-1

საბერძნეთი

«Themelio»
57 Akademias,
T. T. 143,
Athens

საფრანგეთი

Librairie du Globe
2. rue de Buci
75 – Paris 6e

Les Livres Etrangers
10, Rue Armand Moisant
75 – Paris 15e

სირია

Alep
General Press Company
Nizam Bros Kayyali
29 Ayyak Street
P. O. Box 2366
Damas

ურუგვაი

«Anteo Ltda»
18 de Julio 1333
Montevideo

შვეიცარია

Genossenschaft
Literaturvertrieb
46, Feldstraße
8004 Zürich

Naville et Cie
5 – 7, rue Lèvrier
Genève

ჩილე

Empresa Editoria «Austral» Ltda.
Casilla 13201, San Francisco 36
Santiago de Chile

ჰოლანდია

«Pegasus» Boekhandel,
Leidsestraat 25
Amsterdam

ცხადდება ხელმოწერა 1971 წლისათვის გაზეთ „სამშობლოზე!“

ABONNEZ VOUS AU JOURNAL «SAMCHOBLO» POUR 1971!

ABONNIERT DIE ZEITUNG «SAMSCHOBLO» FÜR DAS JAHR 1971!

SUBSCRIBE FOR THE NEWSPAPER «SAMSHOBLO» FOR 1971!

დაგვეძებენ, მოგველიან

ძმებს გიგლა, ჯუმბერ და დავით დავითის ძე ლორთქიფანიძეებს,

დაბადებულთ 1922 და 1925 წლებში ვანის რაიონის სოფელ სალხინოში, ეძებენ დედა — **პაშა**, მამა — **დავითი**, დები — **ლიანა** და **მალვინა ლორთქიფანიძეები**, მცხოვრებნი სოფელ სალხინოში.

სიმონ ივანეს ძე მაჭავარიანს,

დაბადებულს 1912 წელს საჩხერის რაიონის სოფელ ჭორვილაში, ეძებენ დები — **ლინა** და **ელიკო მაჭავარიანები**, მცხოვრებნი სოფელ ჭორვილაში.

კარლო გიორგის ძე მეჩეხიას,

დაბადებულს 1914 წელს ჩოხატაურში, ეძებენ დედა — **ანეტა**, ძმა — **გრიგოლ მეჩეხიები**, მცხოვრებნი ჩოხატაურში, კალინინის ქუჩა № 19.

მიხეილ სამსონის ძე ვასაძეს,

დაბადებულს 1921 წელს მახარაძის რაიონის სოფელ მერიაში, ეძებენ დედა — **დარიკო**, მამა — **სამსონი**, და — **მერი**, ძმა — **კაკო ვასაძეები**, მცხოვრებნი სოფელ მერიაში.

შალვა ვალერიანის ძე გოგაძეს,

დაბადებულს 1921 წელს ვანის რაიონის სოფელ შუამთაში, ეძებენ დედა — **ნინო**, მამა — **ვალერიან გოგაძეები**, მცხოვრებნი ჭიათურაში, ცხაკაიას ქუჩა № 21.

ნიკოლოზ გიორგის ძე ჭიღლაძეს,

დაბადებულს 1921 წელს ჭიათურის რაიონის სოფელ ზოდში, ეძებენ შვილები — **ლილი**, **მანანა**, **იზა**, ძმა — **გაბრიელ ჭიღლაძეები**, მცხოვრებნი სოფელ ზოდში.

შოთა ივანეს ძე ჯგუბურიას,

დაბადებულს 1920 წელს გალის რაიონის სოფელ ოქუმში, ეძებენ მამა — **ივანე**, ძმები — **კოჭიკო** და **გრიგოლ ჯგუბურიები**, მცხოვრებნი სოფელ ოქუმში.

შოთა გიორგის ძე ფორჩხიძეს,

დაბადებულს 1922 წელს ბაღდადში (ახლა მაიაკოვსკი), ეძებენ დედა — **ბაბილინა**, ძმა — **ელისე**, დები — **ქეთო**, **ზამირა**, **თინა ფორჩხიძეები**, მცხოვრებნი მაიაკოვსკში.

გრიგოლ ერმილეს ძე კახიძეს,

დაბადებულს 1900 წელს მაიაკოვსკის რაიონის სოფელ ობჩაში, ეძებენ მეუღლე — **ანა ჩხეიძე**, შვილები — **ლილი** და **ელიკო კახიძეები**, მცხოვრებნი სოფელ ობჩაში.

გიორგი ალექსის ძე ნადაშვილს,

დაბადებულს 1919 წელს გურჯაანის რაიონის სოფელ ზიარში, ეძებს ძმა — **შაქრო ნადაშვილი**, მცხოვრები გურჯაანში, კომკავშირის ქუჩა № 3.

ერასტი იასონის ძე ხვედელიანს,

დაბადებულს 1916 წელს ონის რაიონის სოფელ ჩრისტესში, ეძებენ მეუღლე — **ნადია**, შვილი — **ჯულიეტა**, დები — **პოპინე**, **ანა**, ძმა — **ვლადიმერ ხვედელიანები**, მცხოვრებნი თბილისში, გორის ქუჩა № 6.

რედაქტორი
ვასტანგ ესვანჯია

ჩვენი მისამართია: გაზეთ „სამშობლოს“ რედაქცია — თბილისი 8, რუსთაველის გამზირი № 42. ტელეფონები: 93-68-44, 93-56-25.
უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოება — თბილისი 26, ათონელის ქუჩა № 25.

ინდექსი 66188.

ფასი 5 კაპ.